# საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

## ბრძანება №91
## 2018 წლის 20 აგვისტო

## ქ. თბილისი

**„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 12 იანვრის №1 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 12 იანვრის №1 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 12/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 140130000.22.034.016693) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დეპარტამენტის დირექტორის არყოფნისას მის მოვალეობას დეპარტამენტის დირექტორის დავალებით ასრულებს მისი ერთ-ერთი მოადგილე.“.

2. მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დეპარტამენტის დირექტორს ჰყავს მოადგილე/მოადგილეები, რომელსაც/რომელთაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.“.

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 20 აგვისტოდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობაზე.

**საქართველოს შინაგან საქმეთა**
**მინისტრი** **გიორგი გახარია**